

შპს “ქართული ღვინისა და
ალკოჰოლური სასმელების
კომპანია“

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელ აუდიტორთა
დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11



შპს „KPMG Georgia“

4, ბესიკის ქ.

თბილისი, 0108, საქართველო

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“-ს აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ხელმისაწვდომი გახდება და, განსაზღვრავს, არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს.

ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობის შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, სხვა ინფორმაცია

- შეესაბამება თუ არა ის ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ის ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიანად წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც „მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი



შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიანად წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გაეუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც „მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
20 აპრილი, 2018 წელი



*შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	26,119	19,482
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	10	661	162
არამატერიალური აქტივები		41	52
გრძელვადიანი აქტივები		26,821	19,696
მარაგები	11	20,576	21,551
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	9,120	6,361
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	248	988
მიმდინარე აქტივები		29,944	28,900
სულ აქტივები		56,765	48,596
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		73,352	73,352
დამატებითი შენატანი კაპიტალში		316	-
რეზერვები		17,126	9,098
დაგროვილი ზარალი		(38,227)	(36,190)
სულ კაპიტალი	14	52,567	46,260
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	16	1,628	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,628	-
სესხები და კრედიტები	16	370	621
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,200	1,563
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	9	-	152
მიმდინარე ვალდებულებები		2,570	2,336
სულ ვალდებულებები		4,198	2,336
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		56,765	48,596

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და
წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-41

შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
2017 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	2017	2016
შემოსავალი	5	16,439	9,206
გაყიდული პროდუქციის ღირებულება		(10,073)	(5,907)
სხვაობა დაკრეფილი ყურძნის			
თვითღირებულებასა და სამართლიან			
ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების	6	-	-
გამოკლებით			
მთლიანი მოგება		6,366	3,299
სხვა შემოსავალი	7(a)	490	493
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯი	7(b)	(2,709)	(1,715)
ადმინისტრაციული ხარჯი	7(c)	(2,021)	(1,834)
გაუფასურების ზარალი	10	(4,124)	-
სხვა ხარჯები	7(e)	(255)	(551)
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(2,253)	(308)
ფინანსური შემოსავალი	8	11	416
ფინანსური ხარჯი	8	(282)	(1,079)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(271)	(663)
ზარალი დაბეგვრამდე		(2,524)	(971)
მოგების გადასახადი	9	-	(44)
დაკარგვა გრძელვადიანი ოპერაციებიდან		(2,524)	(1,015)
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება</i>			
<i>კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში</i>			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	10	8,515	-
გადავადებული გადასახადის ეფექტი		-	1,195
სულ სხვა სრული შემოსავალი		8,515	1,195
მთლიანი სრული შემოსავალი		5,991	180

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 20 აპრილს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელი მოაწერეს:

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-41.

შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
2017 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	2017	2016
შემოსავალი	5	16,439	9,206
გაყიდული პროდუქციის ღირებულება		(10,073)	(5,907)
სხვაობა დაკრეფილი ყურძნის			
თვითღირებულებასა და სამართლიან			
ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების	6	-	-
გამოკლებით			
მთლიანი მოგება		6,366	3,299
სხვა შემოსავალი	7(a)	490	493
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯი	7(b)	(2,709)	(1,715)
ადმინისტრაციული ხარჯი	7(c)	(2,021)	(1,834)
გაუფასურების ზარალი	10	(4,124)	-
სხვა ხარჯები	7(e)	(255)	(551)
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(2,253)	(308)
ფინანსური შემოსავალი	8	11	416
ფინანსური ხარჯი	8	(282)	(1,079)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(271)	(663)
ზარალი დაბეგვრამდე		(2,524)	(971)
მოგების გადასახადი	9	-	(44)
დაკარგვა გრძელვადიანი ოპერაციებიდან		(2,524)	(1,015)
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება</i>			
<i>კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში</i>			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	10	8,515	-
გადავადებული გადასახადის ეფექტი		-	1,195
სულ სხვა სრული შემოსავალი		8,515	1,195
მთლიანი სრული შემოსავალი		5,991	180

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 20 აპრილს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელი მოაწერეს:

აღმასრულებელი დირექტორი

El. Kasy. 4 -



ფინანსური დირექტორი

[Handwritten signature]

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-41.

*შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
2017 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება*

'000 ლარი	შენიშვნა	ძირითადი საშუალებების			დამატებითი შენატანი	
		საწესდებო კაპიტალი	გადაფასების ზედმეტობა	დაგროვილი ზარალი	კაპიტალში	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს		58,481	7,958	(35,230)	-	31,209
მთლიანი სრული შემოსავალი წლის ზარალი		-	-	(1,015)	-	(1,015)
სხვა სრული შემოსავალი						
გადაცემა		-	(55)	55	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულების გაუქმება		-	1,195	-	-	1,195
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	1,140	55	-	1,195
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		-	1,140	(960)	-	180
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრებთან შენატანები						
მშობელი კომპანიის სესხის კონვერტირება კომპანიის საწესდებო კაპიტალში		14,871	-	-	-	14,871
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	14	73,352	9,098	(36,190)	-	46,260
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს		73,352	9,098	(36,190)	-	46,260
მთლიანი სრული შემოსავალი წლის ზარალი		-	-	(2,524)	-	(2,524)
სხვა სრული შემოსავალი						
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	8,515	-	-	8,515
გადაცემა		-	(487)	487	-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	8,028	487	-	8,515
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		-	8,028	(2,037)	-	5,991
დაკავშირებული მხარისგან მიღებული დაბალპროცენტიანი სესხის დისკონტირება (შენიშვნა 16(a))		-	-	-	316	316
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	14	73,352	17,126	(38,227)	316	52,567

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და
წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-41.

*შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
2017 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*

’000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		12,778	9,714
გადახდები მიმწოდებლების მიმართ		(8,350)	(6,319)
გადახდები დაქირავებული პირებისთვის		(2,107)	(1,809)
საგადასახადო გადახდები მოგების გადასახადის გამოკლებით		(214)	(101)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		2,107	1,485
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,353)	(3,833)
მიღებული პროცენტი		10	101
გაცემული სესხები		-	170
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,343)	(3,562)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
სესხებისა და კრედიტებიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,999	3,345
სესხების და კრედიტების დაფარვა		(423)	(385)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		1,576	2,960
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(660)	883
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		988	15
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(80)	90
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	13	248	988

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-41.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
მომზადების საფუძველი	11	13.ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20
1.ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	14.კაპიტალი და რეზერვები	21
2.მომზადების საფუძველი	11	15.კაპიტალის მართვა	21
3.სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	11	16.სესხები და კრედიტები	21
4.შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	17.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
წლის მაჩვენებლები	13	ფინანსური ინსტრუმენტები	23
5.შემოსავალი	13	18.სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	23
6.სხვაობა დაკრეფილი ყურძნის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით	13	სხვა ინფორმაცია	28
7.შემოსავალი და ხარჯი	14	19.ვალდებულებები	28
8.წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	15	20.პირობითი ვალდებულებები	28
9.მოგების გადასახადის ხარჯი	15	21.დაკავშირებული მხარეები	28
აქტივები	17	22.ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები	29
10.ძირითადი საშუალებები	17	სააღრიცხვო პოლიტიკები	29
11.მარაგები	20	23.შეფასების საფუძველი	29
12.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	24.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	29
		25.ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	37

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად 1995 წელს.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: აჩინებული, თელავი, საქართველო. კომპანია დარეგისტრირდა მთაწმინდის სასამართლოს მიერ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 226523866.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვაზის გაშენება და ღვინის წარმოება, რომელიც ხორციელდება თელავში (საქართველო) განთავსებულ ღვინის ქარხანაში. ეს პროდუქცია იყიდება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

კომპანიის მფლობელია სს „მარუსია საქართველო“.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიის (სს „მარუსია საქართველო“) მფლობელია „Marussia Beverages B.V“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „Haydn Holding AB“. კომპანიის დაფინანსების და საკრედიტო დამოკიდებულების უმეტესობა „Haydn Holding AB“-ს მმართველობის ქვეშ მყოფ ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოებიდან მოდის. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად არის დამოკიდებული „Haydn Holding AB“-ს მმართველობის ქვეშ მყოფ ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოებზე. ამასთან, კომპანიის საქმიანობები მჭიდროდ უკავშირდება „Haydn Holding AB“-ს მმართველობის ქვეშ მყოფ ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოების მოთხოვნებს. ქვეყანა, რომელშიც ფუნქციონირებს და რეგისტრირებულია „Haydn Holding AB“ არის შვედეთი. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 21-ე შენიშვნაში.

„Paulsen Familiae Foundation“, ჯერსის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული ფონდი, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს-ები) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარმდგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ასევე ვალუტას, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 10(a) და (b) – გაუფასურების ტესტირება: ანაზღაურებად ღირებულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებები; და
- შენიშვნა 16(a) – სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა სესხები და კრედიტების თავდაპირველი აღიარებისას.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების განხორციელების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 6 – სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა მოსავლად მიღებული ყურძნის გასაყიდი ღირებულების გამოკლებით; და
- შენიშვნა 10(a) – გაუფასურების ტესტირება: ანაზღაურებად თანხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებები

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

კომპანიამ მიიღო სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული კონტროლის სტრუქტურა. ფინანსურ დირექტორს აქვს სრული პასუხისმგებლობა სამართლიანი ღირებულების, მათ შორის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებების ყველა განსაზღვრების გადახედვაზე და ის ანგარიშვალდებულია აქციონერების და ჯგუფის ფინანსური დირექტორის წინაშე.

ფინანსური დირექტორი რეგულარულად გადახედავს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს და შეფასების ცვლილებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის გამოიყენება ინფორმაცია მესამე მხარის შესახებ, როგორც არის ბაზრის შესადარისი ფასები, ფინანსური დირექტორი აფასებს მესამე მხარეებისგან მიღებულ მტკიცებულებებს, რათა მოახდინოს დასკვნის მხარდაჭერა იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი შეფასებები აკმაყოფილებს ფასს-ების მოთხოვნებს, მათ შორის სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეს, რომელშიც უნდა მოხდეს ამგვარი შეფასებების კლასიფიცირება.

შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები ანგარიშის სახით წარედგინება აქციონერებს და ჯგუფის ფინანსურ დირექტორს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული).
- დონე 2: შემაჯალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც

ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).

- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლებს კომპანია აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 6 – სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (დაკრეფილი ყურძენი);
- შენიშვნა 10 – ძირითადი საშუალებები; და
- შენიშვნა 16(a) – სესხები და კრედიტები.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2017	2016
ღვინის რეალიზაცია	16,439	9,206

ღვინის რეალიზაცია მნიშვნელოვანი ბაზრების მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ:

'000 ლარი	2017	2016
რუსეთი	5,133	810
ბელარუსი	2,407	1,284
უკრაინა	1,985	1,610
პოლონეთი	1,833	1,296
ჩინეთი	1,201	869
საქართველო	1,151	661
ყაზახეთი	1,053	1,207
ესტონეთი	675	562
ლატვია	477	199
ლიტვა	208	398
ისრაელი	112	39
იაპონია	87	182
ნიდერლანდები	62	89
გერმანია	43	-
აზერბაიჯანი	12	-
სულ შემოსავალი	16,439	9,206

6. სხვაობა დაკრეფილი ყურძნის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით

'000 ლარი	2017	2016
დაკრეფილი ყურძნის ღირებულება		
საფერავი	1,696	1,136
მწვანე	388	411
რქაწითელი	81	-
სხვა	24	9
სულ ვენახის ხარჯი	2,189	1,556
სხვაობა დაკრეფილი ყურძნის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით	-	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ მოსავლის აღების მომენტში დაკრეფილი ყურძნის თვითღირებულება მის სამართლიან ღირებულებასთან, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით, არის მიახლოებული. წინა წლებთან შედარებით 2017 წლის განმავლობაში ყურძნის საბაზრო ფასები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ მოსავლად აიღო ყურძნის შემდეგი ძირითადი ჯიშები: საფერავი - 954 ტონა (2016: 1,172 ტონა), მწვანე - 256 ტონა (2016: 338 ტონა), რქაწითელი - 61 ტონა (2016: წული) და სხვა - 13 ტონა (2016: 6 ტონა).

7. შემოსავალი და ხარჯი

(a) სხვა შემოსავალი

'000 ლარი	2017	2016
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	161	75
სხვა შემოსავალი	329	418
	490	493

(b) გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
სარეკლამო ხარჯი	1,448	1,172
ტრანსპორტირების ხარჯი	1,261	543
	2,709	1,715

(c) ადმინისტრაციული ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
ანაზღაურებები და ხელფასები	797	599
საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურებები	549	562
ცვეთა	185	193
წარმომადგენლობითი ხარჯები	87	64
სამივლინებო ხარჯი	46	38
კომუნალური ხარჯი	33	18
საკომუნიკაციო ხარჯი	31	38
სადაზღვევო ხარჯი	20	16
საწვავის ხარჯი	13	12
სხვა	260	294
	2,021	1,834

(d) პერსონალის ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
პერსონალის ხარჯი	2,677	2,228

პერსონალის ხარჯის მთლიანი რაოდენობა 2017 წლისთვის გადანაწილდა შემდეგი ფორმით: 797 ათასი ლარი ადმინისტრაციულ ხარჯზე (2016: 599 ათასი ლარი), 776 ათასი ლარი მარაგების წარმოებაზე (2016: 857 ათასი ლარი) და 1,104 ათასი ლარი დაკრეფილი ყურძნის ხარჯზე (2016: 772 ათასი ლარი).

(e) სხვა ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
ქონების და სხვა გადასახადები	194	223
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი/(გაუქმება)	3	(148)
სხვა	58	476
	255	551

8. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

'000 ლარი	2017	2016
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი წმინდა შემოსავალი	-	377
საპროცენტო შემოსავალი	11	39
ფინანსური შემოსავალი	11	416
უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი წმინდა ზარალი	(142)	-
საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(140)	(1,079)
ფინანსური ხარჯი	(282)	(1,079)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯი	(271)	(663)

9. მოგების გადასახადის ხარჯი

(a) მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

კომპანიის მოქმედი საგადასახადო განაკვეთია ქართული კომპანიებისთვის განსაზღვრული მოგების 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი.

'000 ლარი	2017	2016
გადავადებული საგადასახადო სარგებელი		
ცვლილება აღიარებულ დაქვითვად დროებით სხვაობებში (კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეული)	-	44
სულ საგადასახადო ხარჯი	-	44

(b) სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხები

’000 ლარი	2017			2016		
	დაბეგვრამდე გადასახადი	გადასახადის გამოკლებით	გადასახადის გამოკლებით	დაბეგვრამდე გადასახადი	გადასახადის გამოკლებით	გადასახადის გამოკლებით
ძირითადი						
საშუალებების	8,515	-	8,515	-	1,187*	1,187
გადაფასება						
გადაცემა	(487)	-	(487)	(55)	8	(47)
	8,028	-	8,028	(55)	1,195	1,140

* ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულების გაუქმება (კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეული).

მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2017		2016	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
ზარალი დაბეგვრამდე	-	-	(972)	100%
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	-	-	(146)	15%
სხვაობა საგადასახადო და ფასს-ების საფუძვლებს შორის	-	-	146	15%
ცვლილება აღიარებულ დაქვითვას დაქვემდებარებულ დროებით სხვაობებში (საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად)	-	-	44	(5%)
	-	-	44	(5%)

2016 წელს, ადრე აღიარებული 44 ათასი ლარის ოდენობით გადავადებული საგადასახადო აქტივების გაუქმება უკავშირდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე მოხდა, კომპანიამ აღიარა ცვლილების სრული ეფექტი ადრე აღიარებული გადავადებული გადასახადის აღიარების შეწყვეტით, მოგება-ზარალის მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებაში მოგების გადასახადის სარგებლის სახით.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია მიმდინარე გადასახადისთვის, რომელიც გადაიხდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება ნაწილდება 2017 ან მომდევნო წლებში. ამგვარი განაწილებული მოგებისთვის ხელმისაწვდომი მთლიანი საგადასახადო ანაზღაურება 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2018 და შემდგომ წლებში არის ნული.

10. ძირითადი საშუალებები

’000 ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	ღვინის დასამზადებელი დანადგარები	კასრები და ავზები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა		ოფისის აღჭურვილობა		დაუსრულებელი მშენებლობა		ნაყოფის მომცემი კულტურები		სულ
<i>თვითღირებულება ან პირობითი ღირებულება/გადაფასებული ღირებულება</i>													
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	6,306	1,944	3,563	4,842	1,510	101	43		1,929		3,148		23,386
შესყიდვები	621	39	485	304	901	68	3		1,489		-		3,910
გაყიდვები/ჩამოწერები	-	-	(31)	(18)	-	(12)	-		(79)		-		(140)
გადაფასება	-	256	-	-	7	-	-		(263)		-		-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	6,927	2,239	4,017	5,128	2,418	157	46		3,076		3,148		27,156
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	6,927	2,239	4,017	5,128	2,418	157	46		3,076		3,148		27,156
შესყიდვები	-	8	1,085	273	780	35	6		1,738		-		3,925
გაყიდვები/ჩამოწერები	(51)	-	(107)	(17)	(355)	-	-		-		-		(530)
გადაცემები	-	94	191	-	752	2	-		(2,356)		1,317		-
გადაფასება	3,528	20	1,075	3,083	803	-	7		-		-		8,516
ცვეთის აღმოფხვრა	(79)	(651)	(2,522)	(3,074)	(1,143)	(81)	(30)		(302)		-		(7,882)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	10,325	1,710	3,739	5,393	3,255	113	29		2,156		4,465		31,185
<i>ცვეთისა და გაუფასურების ზარალი</i>													
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	79	455	1,439	2,263	622	39	20		302		757		5,976
წლის ცვეთა	-	106	677	419	423	23	5		-		89		1,742
გაყიდვა	-	-	(28)	(6)	-	(10)	-		-		-		(44)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	79	561	2,088	2,676	1,045	52	25		302		846		7,674
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	79	561	2,088	2,676	1,045	52	25		302		846		7,674
წლის ცვეთა	-	90	509	406	430	29	5		-		96		1,565
გაყიდვები	-	-	(75)	(8)	(332)	-	-		-		-		(415)
ცვეთის აღმოფხვრა	(79)	(651)	(2,522)	(3,074)	(1,143)	(81)	(30)		(302)		-		(7,882)
გაუფასურების ზარალი/(შემოსავალი)	134	97	1,037	(1,067)	377	70	10		1,317		2,149		4,124
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	134	97	1,037	(1,067)	377	70	10		1,317		3,091		5,066
<i>საბალანსო ღირებულება</i>													
2016 წლის 1 იანვარს	6,227	1,489	2,124	2,579	888	62	23		1,627		2,391		17,410
2016 წლის 31 დეკემბერს	6,848	1,678	1,929	2,452	1,373	105	21		2,774		2,302		19,482
2017 წლის 31 დეკემბერს	10,191	1,613	2,702	6,460	2,878	43	19		839		1,374		26,119
<i>საბალანსო ღირებულების გადაფასება ადგილი არ ჰქონია</i>													
2016 წლის 1 იანვარს	552	823	1,747	2,678	412	13	23		1,627		2,391		10,266
2016 წლის 31 დეკემბერს	1,173	1,012	1,552	2,551	897	56	21		2,774		2,302		12,338
2017 წლის 31 დეკემბერს	988	926	1,250	3,476	1,598	-	11		841		1,374		10,464

ცვეთის ხარჯი 1,394 ათასი ლარის ოდენობით დაირიცხა მარაგებზე 2017 წლის განმავლობაში (2016: 1,549 ათასი ლარი), 171 ათასი ლარი - ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯზე (2016: 193 ათასი ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიანი აქტივების ავანსების გადახდა 661 ათასი ლარის ოდენობით (2016: 162 ათასი ლარი) განხორციელდა ვაზის შესაძენად.

(a) ძირითადი საშუალებების გადაფასება

2017 წელს, ხელმძღვანელობამ შპს „ბიდიოს“ დაავალა ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება, ნაყოფის მომცემი კულტურების გამოკლებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, ნაყოფის მომცემი კულტურების გამოკლებით, განისაზღვრა 24,745 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც განეკუთვნა სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის კატეგორიას, გამოყენებული საშემფასებლო მეთოდის მონაცემების საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 4).

კომპანიის გადაფასებული ძირითადი საშუალებების ნაწილი ბუნებაში სპეციალიზირდება და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, გარდა უწყვეტი საქმიანობის შემადგენელი ნაწილისა, შესაბამისად ძირითადი საშუალებების ამ ერთეულების სამართლიანი ღირებულება უპირატესად განისაზღვრა ჩანაცვლების ამორტიზირებული ღირებულების გამოყენებით. ეს მეთოდი მოიცავს ძირითადი საშუალებების გამოშვების ან გამოცვლის ხარჯს, რომელიც იცვლება ფიზიკური, ფუნქციური ან ეკონომიკური ცვეთის, ასევე დაძველების გათვალისწინებით. დანარჩენი ძირითადი საშუალებები შეფასდა მიმდინარე საბაზრო ოპერაციების საფუძველზე.

ცვეთის ჩანაცვლების ხარჯი შეფასდა შიდა წყაროების და მსგავსი ძირითადი საშუალებების ქართული და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. ბაზრის სხვადასხვა მონაცემები მიღებულია გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, კატალოგებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან და სხვ.

ამასთან, ცვეთის ჩანაცვლების ხარჯის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა ფულადი ნაკადების ტესტირება, რამაც ასახვა ჰპოვა სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, გარდა ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუსრულებელი მშენებლობის კატეგორიებისა, რომელიც 524 ათასი ლარით შემცირდა და აისახა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალის სახით 2017 წელს (2016: ნული).

ფულადი ნაკადების ტესტირებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადები დაიგეგმა განვლილი გამოცდილების, ფაქტიური საოპერაციო შედეგებისა და კომპანიის ხუთწლიანი ბიზნეს გეგმის საფუძველზე.
- მთლიანი წარმოების მოცულობა დაიგეგმა დაახლოებით 3,347 ათასი ბოთლის ოდენობით ბიზნეს გეგმის პირველი წლის განმავლობაში. წარმოების საპროგნოზო წლიური ზრდა 2019 წელს განისაზღვრა საშუალოდ 16% და 5.5%-ით. ხელმძღვანელობა გეგმავს წარმოების მოცულობა გაზარდოს 4,558 ათას ბოთლამდე ბიზნეს გეგმაში განსაზღვრული მეხუთე წლისთვის.
- გაყიდვების საშუალო ღირებულება ერთ ერთეულზე და ერთეულის წარმოების ხარჯი დაგეგმილია გაიზარდოს 4%-ით 2018 წლის განმავლობაში და საშუალოდ 3%-ით ყოველ მომდევნო წელს.
- მოსალოდნელია ერთეულის წარმოების ხარჯის ზრდა 1%-ით 2018 წელს და 3%-ით ყოველ მომდევნო წელს. დაგეგმილია სხვა ხარჯებს ინფლაციის შესაბამისად ზრდა.
- გამოყენებულ იქნა ფასდაკლების განაკვეთი 14.52%-ის ოდენობით. ფასდაკლების განაკვეთი განისაზღვრა ინდუსტრიის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. ფულადი ნაკადები დაგეგმილია ლარში.
- საბოლოო ღირებულება მიღებულ იქნა 5-წლიანი პერიოდის ბოლოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბოლოო ღირებულების განსასაზღვრად გათვალისწინებულია საბოლოო განაკვეთი 2.3%-ის ოდენობით.

ხელმძღვანელობამ მოახდინა ორი მნიშვნელოვანი დაშვების იდენტიფიკაცია, რომლისთვისაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გონივრულ შესაძლო ცვლილებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საბალანსო ღირებულების ზრდა, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული თანხის გადაჭარბებისთვის. ზემოთ მოცემული შეფასებები კონკრეტულად მგრძნობიარეა შემდეგთან მიმართებაში:

- 100 საბაზისო პუნქტიანი ზრდა გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში გამოიწვევდა იმას, რომ მომავალი ფულადი ნაკადების ფასდაკლების თანხა სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები იქნება 8,418 ათასი ლარის ოდენობით.
- 5%-იანი კლება მომავალ მოცულობაში, გამოიწვევდა იმას, რომ მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების თანხა იქნება სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, 9,605 ათასი ლარის ოდენობით.

(b) მიწა

როგორც შენიშვნაში 10(a) განვსაზღვრეთ, 2017 წელს ხელმძღვანელობამ შპს „ბიდიოს“ დაავალა ძირითადი საშუალებების, მათ შორის მიწის ნაკვეთების, დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 10,191 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის კატეგორიას, გამოყენებული სამემფასებლო ტექნიკის მონაცემების საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 4).

მიწის ნაკვეთები საბალანსო ღირებულებით 6,510 ათასი ლარის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასდა მზარდი მიმართულებით, და გადაფასების ზედმეტობა 3,528 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასების საფუძველზე განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთებს საბალანსო ღირებულებით 295 ათასი ლარი აქვთ ანაზღაურებადი ღირებულება 161 თასი ლარი და გაუფასურების ზარალი 134 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2017 წელს.

(c) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 2,694 ათასი ლარი დაგირავებულია თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (2016: 10,140 ათასი ლარი), ძირითადი საშუალებები, საბალანსო ღირებულებით 8,177 ათასი ლარი დაგირავებულია საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (2016: ნული). იხილეთ შენიშვნა 16(a).

(d) დაუსრულებელი ძირითადი საშუალებები

დაუსრულებელი ძირითადი საშუალებები მოიცავს ნაყოფის მომცემი კულტურებისა და ღვინის წარმოების ობიექტის განვითარებისთვის გაწეულ ხარჯებს.

გადაფასების შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუსრულებელი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შემცირდა 1,317 ათასი ლარით, რომელმაც აისახა გაუფასურების ზარალში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2017 წელს (2016: ნული).

(e) ნაყოფის მომცემი კულტურები

კომპანიის მიერ ჩატარებული ფულადი ნაკადების ტესტირების შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაყოფის მომცემი კულტურების ღირებულება შემცირდა 2,149 ათასი ლარით, რამაც გამოიწვია გაუფასურების ზარალი მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2017 წლის განმავლობაში (2016: ნული).

11. მარაგები

'000 ლარი	2017	2016
მიმდინარე სამუშაო	17,078	18,605
ნედლეული და სახარჯო მასალა	1,888	1,373
დასრულებული საქონელი	751	778
სხვა მარაგები	859	795
	20,576	21,551

2017 წელს ნედლეულის, სახარჯო მასალის და დასრულებულ საქონელსა და მიმდინარე სამუშაოში განხორციელებული ცვლილებების თანხამ, მათ შორის გაყიდული პროდუქციის ღირებულების სახით აღიარებული წარმოების ზედნადებმა ხარჯებმა შეადგინა 10,073 ათასი ლარი (2016: 5,907 ათასი ლარი).

2017 წლის განმავლობაში, მარაგების ნაშთებთან დაკავშირებული გირაო, ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად იყო განკუთვნილი, სრულად დაიფარა (2016: 21,511 ათასი ლარი). თიბის ბანკის დაუფარავი სესხი, საბალანსო ღირებულებით 238 ათასი ლარი (2016: 621 ათასი ლარი), ინარჩუნებს სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების გირაოს, რომელიც მითითებულია შენიშვნაში 10(c).

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	21	2,642	2,706
სხვა სავაჭრო მოთხოვნები		6,159	3,297
სავაჭრო მოთხოვნები		8,801	6,003
ავანსები გადასახადების ჩათვლით, მოგების გადასახადების გარდა		208	270
სხვა ავანსები		111	88
ავანსები		319	358
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		9,120	6,361

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის შესახებ განხილულია მე-18 შენიშვნაში

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2017	2016
სალაროში არსებული თანხა	6	19
საბანკო ნაშთები	242	969
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში	248	988

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ინფორმაცია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზის შესახებ განხილულია მე-18 შენიშვნაში.

14. კაპიტალი და რეზერვები

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში განსაზღვრული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 73,352 ათას ლარს (2016: 73,352 ათასი ლარი).

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ზარალი 38,227 ათასი ლარის ოდენობით (2016: დაგროვილი ზარალი 36,190 ათასი ლარი).

(c) გადაფასების ზედმეტობა

გადაფასების ზედმეტობა უკავშირდება ძირითადი საშუალებების გადაფასებას.

(d) დამატებითი შენატანი კაპიტალში

დამატებითი შენატანი კაპიტალში უკავშირდება „Marussia Beverage B.V.“-სგან (მეორე მშობელი კომპანია) მიღებული დაბალპროცენტიანი სესხის დისკონტირების ეფექტს, 2017 წელს, დაფარვის ვადით 2021 წელი (შენიშვნა 16(a)).

15. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს უზრუნველყოს კაპიტალის შესაბამისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება აქციონერებისა და მშობელი კომპანიების მიერ. ამ შეფასებებით კომპანია გეგმავს მოგების სტაბილურ ზრდას.

16. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომელიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

'000 ლარი	2017	2016
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	662	-
სესხი მშობელი კომპანიისგან	966	-
	1,628	-
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	370	621
	370	621

(a) სესხის ვადები და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

’000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი, 2017		31 დეკემბერი, 2016	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სესხი „Marussia Beverages B.V.“-სგან უზრუნველყოფილი	ლარი	Euribor* +margin	2021	1,235	966	-	-
სესხი თიბისი ბანკისგან	ლარი	12.50 %	2022	249	249	-	-
უზრუნველყოფილი სესხი თიბისი ბანკისგან	აშშ დოლარი	13.00 %	2018	238	238	621	621
უზრუნველყოფილი სესხი საქართველოს ბანკისგან	ლარი	12.50 %	2022	545	545	-	-
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				2,267	1,998	621	621

უზრუნველყოფილი სესხები თიბისი ბანკისგან და საქართველოს ბანკისგან გაცემულია შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტის ნაწილში და პროცენტის ნაწილი ანაზღაურდა საქართველოს მთავრობის მიერ.

* 12-თვიანი EURIBOR განაკვეთი, თითოეული კალენდარული წლის პირველ სამუშაო დღეს, მარჯის დამატებით. მარჯა ყოველწლიურად გადაიხედება, ყოველი წლის 1 იანვარს ან როცა არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენის ნიშნები.

2017 წლის განმავლობაში, კომპანიამ მიიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან, შეღავათიანი პირობებით, რომელიც ლარში იყო დენომინირებული და მისი დაფარვის წელია 2021. თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ სესხის სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინსტრუმენტების ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები იყო და გადააფასა სესხის თანხა სამართლიანი ღირებულებით, პროცენტის და ძირითადი თანხის მომავალი გადახდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთამდე (11,4%) დისკონტირებით. სხვაობა მიღებულ გადახდასა და თავდაპირველი აღიარებისას სესხის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდა კაპიტალში დამატებითი შენატანის სახით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 2,694 ათასი ლარი, დაგირავებული იყო თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფის სახით (2016: 10,140 ათასი ლარი), და ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 8,177 ათასი ლარი, დაგირავებული იყო საქართველოს ბანკისგან მიღებული უზრუნველყოფის სახით (2016: ნული). გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 10(c).

სესხები და კრედიტები დაკავშირებული მხარეებისგან არ არიან უზრუნველყოფილი.

(b) ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ფულადის ნაკადების ვალდებულებებში მოძრაობის შეჯერება

ლარი’000 სესხად აღებული თანხები	1 იანვარი, 2017	ფულადი სახსრების დარიცხული შემოდინება	ფულადი სახსრების დარიცხული პროცენტი	ფულადი სახსრების გადინება (ძირითადი თანხა)	ფულადი სახსრების გადინება (პროცენტი)	უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი ზარალი	31 დეკემბერი, 2017
	621	1,999	143	(361)	(62)	(26)	(316)
							1,998

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

’000 ლარი	2017	2016
სავაჭრო ვალდებულებები	1,776	1,307
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	370	256
სხვა ვალდებულებები	54	-
	2,200	1,563

კომპანიის დაქვემდებარება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე განხილულია მე-18 შენიშვნაში.

18. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების მიზანს წარმოადგენს ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღში სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასების მიახლოება. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გაანგარიშდება ძირითადი თანხის და საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება.

(b) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო, კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (შენიშვნა 18(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (შენიშვნა 18(b)(iii));
- საბაზრო რისკი (შენიშვნა 18(b)(iv)).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭოს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტა და სისტემა რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული

ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშობება კომპანიის მოთხოვნებიდან კლიენტების მიმართ.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკზე, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, კერძოდ კი მიმდინარე პერიოდში ეკონომიკური პირობების გაუარესება. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 20% (2016: 15%) კომპანიის შემოსავალი უკავშირდება ერთ კლიენტთან განხორციელებული გაყიდვის ოპერაციებს. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად, კონცენტრირებულია დსთ-ს ქვეყნებში.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის, ანგარიშგების თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	2016
ადგილობრივი	310	443
დსთ-ს ქვეყნები	7,397	4,937
ევრო ზონის ქვეყნები	498	207
სხვა ევროპული ქვეყნები	530	416
სხვა რეგიონები	66	-
	8,801	6,003

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის ანგარიშგების თარიღისთვის, კონტრაქტების ტიპების მიხედვით, იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	2016
საბითუმო კლიენტები	8,801	6,003

გაუფასურების ზარალი

იმ სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობა, რომელიც არ იყო გაუფასურებული ანგარიშგების თარიღისთვის, იყო შემდეგი:

'000 ლარი	2017	2016
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	6,629	4,169
0-დან 30 დღემდე ვადაგადაცილებული	988	216
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	170	298
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	81	1
91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	2	177
120 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	931	1,142
	8,801	6,003

ხელმძღვანელობის აზრით, არაგაუფასურებული თანხები, რომლებიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ვადით, კვლავ ამოღებადია, ისტორიული გადახდების გამოცდილებისა და მომხმარებელთა საკრედიტო რისკის ფართო ანალიზის საფუძველზე. სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის 86%, რომელიც 120 დღეზე მეტი პერიოდით არის ვადაგადაცილებული, წარმოადგენს მოთხოვნას ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიებისგან, რომელიც სრულად აღდგა ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის მდგომარეობით.

მომდრობა სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების რეზერვში, წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	122	270
ზრდა/(გაუქმება) წლის განმავლობაში	3	(148)
ჩამოწერილი თანხები	(18)	-
ნაშთი წლის ბოლოს	107	122

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას აქვს ფულად სახსრები და მათ ეკვივალენტები 242 ათასი ლარის ოდენობით (2016: 969 ათასი ლარი), რომელიც ამ აქტივებზე კომპანიის მაქსიმალურ დაქვემდებარებას წარმოადგენს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახება საქართველოს ორ რეპუტაციის მქონე ბანკში. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

კომპანიის მიზანია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება ფინანსური ვალდებულებების ფულადი სახსრების მოსალოდნელ გადინებას, ოთხი თანმიმდევრული თვის განმავლობაში.

ჩვეულებრივ, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო ოდენობით მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, სამი თვის განმავლობაში მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებების დასაკმაყოფილებლად; ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში პროგნოზირება შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით არის წარმოდგენილი და ისინი მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2017

'000 ლარი	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები					
	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე ნაკლები	2 თვეზე 2-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხი მშობელი კომპანიისგან	966	1,487	-	-	-	1,487
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,032	1,302	-	107	359	617
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,200	2,200	-	273	1927	-
	4,198	4,989	-	380	2,286	2,104

31 დეკემბერი 2016

31 დეკემბერი 2016	სახელმწიფო ფულადი ნაკადები						
	საბალანსო			2 თვეზე	2-დან 12	1-დან 2	2-დან 5
'000 ლარი	დირებულება	სულ	მოთხოვნამდე	ნაკლები	თვემდე	წლამდე	წლამდე
არაწარმოებული ფინანსური							
ვალდებულებები							
უზრუნველყოფილი საბანკო							
სესხები	621	621	621	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა	1,563	1,563	-	-	-	-	1,563
ვალდებულებები							
	2,184	2,184	621	-	-	-	1,563

მოსალოდნელი არ არის, რომ ზემოთ ვადიანობის ანალიზის ცხრილში წარმოდგენილი ფულადი ნაკადები წარმოიშვება მნიშვნელოვნად ადრე და მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით>

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს კისრულობს ბაზრის რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში ცვალებადობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან არსებობს შეუსაბამოა გაყიდვების, შესყიდვებისა და კრედიტების ვალუტებსა და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტას, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.

კრედიტები და მათზე დარიცხული პროცენტი ლარშია წარმოდგენილი, რაც შეესაბამება კომპანიის შესაბამისი ოპერაციების მიერ ძირითადად ლარში წარმოქმნილ ფულად ნაკადებს. ეს წარმოქმნის ეკონომიკურ ჰეჯირებას და არ ფორმდება წარმოებული ინსტრუმენტები.

დაქვემდებარება სავალუტო რისკზე

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში	ევროში	აშშ დოლარში	ევროში
	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული
	2017	2017	2016	2016
სავაჭრო მოთხოვნები	7,463	1,028	4,937	623
ფულადი სახსრები და მათი	5	54	315	621
ეკვივალენტები				
სავაჭრო ვალდებულებები	(61)	(96)	(312)	(54)
სესხები და კრედიტები	(238)	-	(621)	-
წმინდა დაქვემდებარება	7,169	986	4,319	1,190

წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		სპოტ განაკვეთი ანგარიშგების წარდგენის თარიღში	
	2017	2016	2017	2016
1 აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468
1 ევრო	2.8322	2.6172	3.1044	2.7940

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო (გამყარება) შესუსტება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე (გადასახადის გამოკლებით) ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს ნებისმიერი სახის გავლენას გაყიდვებისა და შესყიდვების პროგნოზზე.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2017		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(717)	717
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(99)	99
31 დეკემბერი 2016		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(432)	432
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(119)	119

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, რადგან ეს გამოიწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ცვლილებას ან გავლენას მოახდენს მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობაზე (სესხი ცვალეზადი განაკვეთით).

ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალეზადი საპროცენტო განაკვეთით.

თუმცა ახალი სესხის აღების დროს, გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალეზადი.

დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

ანგარიშგების თარიღში კომპანიის პროცენტის ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	2016
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(1,032)	(621)
	(1,032)	(621)
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(966)	-
	(966)	-

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ანროგორც გასაყიდად გამიზნულს. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგება-ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღში არსებითად არ იმოქმედებდა კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი - ვალუტის გაცვლითი კურსები, უცვლელი დარჩება.

19. ვალდებულებები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს კაპიტალური ვალდებულებები

20. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას აქვს მისი საწარმოო მოწყობილობების და მესამე პირების ვალდებულებების სრული სადაზღვევო ანაზღაურება, ქონების ან გარემოზე დაზიანებასთან მიმართებაში, რაც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. ამასთან, კომპანიას არ აქვს საქმიანობის შეწყვეტის სადაზღვევო ანაზღაურება და კვლავ არსებობს კონკრეტული აქტივების ზარალს ან განადგურებას ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ მიმოხილვისთვის მომდევნო სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში, საგადასახადო წელი შეიძლება უფრო დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს დაუხურავი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შესძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა სს „მარუსია საქართველო“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „Haydn Holding AB“ და კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Paulsen Familiae Foundation“, ჯერსის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული იურიდიული პირი.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას. შემდეგი უმაღლესი მშობელი კომპანია, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომ ფასს-ების შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსცემს არის „Haydn Holding AB“.

(b) ოპერაციები მმართველ პერსონალთან

მმართველი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

მმართველმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია პერსონალის ხარჯში (იხილეთ შენიშვნა 7(d)):

’000 ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	408	386

ოპერაციები მშობელ კომპანიასთან ნაჩვენებია შენიშვნაში 21(c).

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან

’000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2017	2016	2017	2016
საქონლის და მომსახურებების გაყიდვა:				
პირდაპირი მშობელი კომპანია	719	436	33	45
მშობელი კომპანია	62	-	-	-
ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიები	2,249	1,732	2,609	2,661
საქონლის და მომსახურების შესყიდვა:				
პირდაპირი მშობელი კომპანია	(1,220)	(1,285)	(141)	(253)
ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიები	(194)	-	(228)	(3)
მიღებული სესხები:				
მშობელი კომპანია	(1,199)	(4,208)	(966)	-

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, გარდა „Marussia Beverages B.V.“-სგან მიღებული სესხისა (შენიშვნა 16(a)), უნდა დაიფაროს ნაღდი ფორმით, ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

22. ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები

2018 წლის მარტის ბოლოს კომპანიამ სრულად დაფარა „Marussia Beverages B.V.“-სგან მიღებული სესხი.

23. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, შემდეგი ერთეულების გარდა, რომლებიც ფასდება ალტერნატიულ საფუძველზე თითოეულ ანგარიშგების თარიღში.

ერთეულები	შეფასების საფუძველი
ძირითადი საშუალებები, ნაყოფის მომცემი კულტურების გამოკლებით	სამართლიანი ღირებულება
სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	სამართლიანი ღირებულება, გასაყიდი ღირებულების გამოკლებით

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მათ კომპანია თანმიმდევრულად იყენებს.

ქვემოთ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მაჩვენებელი, რომელთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მითითებულ გვერდებზე:

(a)	შემოსავალი	30
(b)	ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	30
(c)	ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	30
(d)	დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	31
(e)	მოგების გადასახადი	31
(f)	მარაგები	32
(g)	ძირითადი საშუალებები	32
(h)	ფინანსური ინსტრუმენტები	34
(i)	საწესდებო კაპიტალი	35
(j)	გაუფასურება	35
(k)	ანარიცხები	37

(a) შემოსავალი

(i) გაყიდული საქონელი

შემოსავალი აღიარდება თუ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება (ჩვეულებრივ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება) იმისა, რომ მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება გადაეცა მყიდველს, სავარაუდოა გადახდის აღდგენა, დაკავშირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო დაბრუნება შესაძლოა ობიექტურად შეფასდეს, არ არსებობს საქონელთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის ჩართულობა და რომ შემოსავლის თანხა შესაძლოა ობიექტურად შეფასდეს. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები გადახდის სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებების, სავაჭრო ფასდაკლებებისა და მოცულობითი ფასდაკლებების გამოკლებით.

რისკებისა და უფლებების გადაცემის ვადები განსხვავდება გაყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინდივიდუალური პირობების შესაბამისად. ღვინის გაყიდვისთვის, გადაცემა, ჩვეულებრივ წარმოიშობა მას შემდეგ, რაც პროდუქცია გამყიდველის საწყობში განთავსდება. ამასთან, რამდენიმე საერთაშორისო ტრანსპორტირებისთვის, რისკებისა და უფლებების გადაცემას ადგილი აქვს საქონლის შესაბამის გადამზიდავ ტრანსპორტზე დატვირთვის მომენტიდან, გამყიდველის ობიექტში.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოშობილი შემოსავალი ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება წარმოშობის მომენტიდან მოგებაში ან ზარალში, მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით, იმის მიხედვით, რომელ პოზიციაში იმყოფება მოძრაობა უცხოურ ვალუტაში, წმინდა შემოსულობის, თუ - წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიის სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად-საკრედიტო ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული გადაფასდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაფასდება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამოქმედებულ საგადასახადო კანონმდებლობას დაბეგვრის მომენტი გადააქვს მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძველებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ხარჯის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და მიმდინარე სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედმეტობების შესაბამის წილს, ნორმალური ფუნქციონირების პროცესში.

საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

კომპანია არ იყენებს სტანდარტს ბასს 23-ს (ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები), საკრედიტო ხარჯებთან მიმართებაში, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება დასრულებულ პროდუქტებს (ღვინო) და რომელიც წარმოებულია ან სხვაგვარად არის გამოშვებული დიდი რაოდენობით განმეორებად საფუძველზე.

(g) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

აქტივის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული, გარდა დაუსრულებელი მშენებლობებისა და ნაყოფის მომცემი კულტურებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და რომელთა სამართლიანი ღირებულება შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული, აღირიცხება გადაფასებული თანხით, რომელიც მიიღება გადაფასების თარიღში მის სამართლიან ღირებულებაზე ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთისა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გადაფასება ხდება შესაბამისი თანმიმდევრობით იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. მიწის და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების ბაზარზე დაფუძნებული მტკიცებულებით, რომელსაც პროფესიონალური და კვალიფიციური შემფასებლები ახორციელებენ. ძირითადი საშუალების ერთეულების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს შემფასებლის მიერ განსაზღვრულ მათ საბაზრო ღირებულებას. თუ არ იარსებებს სამართლიანი ღირებულების ბაზარზე დაფუძნებული მტკიცებულება ძირითადი საშუალებების ერთეულის განსაკუთრებული ხასიათის გამო და ერთეული იშვიათად იყიდება, გარდა უწყვეტი საქმიანობის ნაწილისა, კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს სამართლიანი ღირებულების შეფასება შემოსავალზე, ბაზრის მონაცემებზე ან ხარჯებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადასაფასებელი ძირითადი საშუალებების ერთეულების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან, უნდა ჩატარდეს დამატებითი გადაფასების პროცედურები.

თუ ძირითადი საშუალების ერთეული გადაფასდება, ასევე უნდა გადაფასდეს ძირითადი საშუალებების მთლიანი ჯგუფი, რომელსაც ამგვარი ერთეული განეკუთვნება. ძირითადი საშუალებების შემდგომი ცვეთა ისეთი სახით აღირიცხება, რომ ჩამოიწეროს ამორტიზირებული ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით და დაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე გადაფასების ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი გადაფასების ზედმეტობის სახით. ამასთან, ზრდა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმის გათვალისწინებით, რომ ის აღადგენს მოგებაში ან ზარალში ადრე აღიარებული იგივე აქტივის გადაფასების კლებას.

გადაფასების კლება ძირითად საშუალებებზე მოგებაში ან ზარალში აღიარდება. ამასთან, კლება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, თუ იარსებებს გადაფასების ზედმეტობა რომელიმე საკრედიტო ნაშთში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეული კომპონენტის გამოცვლის ხარჯი აღიარდება ამ ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ ამგვარ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და მისი ღირებულება შესაძლოა ობიექტურად შეფასდეს. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების თვითღირებულება აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის მომენტიდან.

(iii) ნაყოფის მომცემი კულტურები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ნაყოფის მომცემი კულტურები გამოიყენება წარმოების ზრდის მიზნით. ერთადერთი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ნაყოფის მომცემი კულტურებიდან წარმოიშვება იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან, რომლებიც მცენარეებიდან მიღებული ნაყოფისგან მზადდება. ნაყოფის მომცემი კულტურები შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას ბასს 16-ის საფუძველზე და მათი ფუნქციონირება წარმოების მსგავსია. შესაბამისად, ბასს 16 და ბასს 41-ის ცვლილებები (*სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები*) მოითხოვენ ნაყოფის მომცემი კულტურების ძირითად საშუალებებად აღრიცხვას და ისინი შეყვანილია ბასს 16-ში ბასს 41-ის ნაცვლად.

ნაყოფის მომცემი კულტურები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ნაყოფის მომცემი კულტურების თვითღირებულება მოიცავს აქტივების სამართლიან ღირებულებას, რომელიც 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრება სავარაუდო ღირებულების სახით.

ნაყოფის მომცემი კულტურების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რითაც თვითღირებულებას აკლდება სალიკვიდაციო ღირებულება მისი მოსალოდნელი სასარგებლო ვადის (30 წელი) გათვალისწინებით.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურების სალიკვიდაციო ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება, თუ იარსებებს მინიშნებები იმისა, რომ განვლილი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

კომპანია დაკრეფილი ყურძნის კლასიფიცირებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კატეგორიაში და მათ უპირატესად იყენებს საკუთარი ღვინის წარმოების მიზნით.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურებიდან მიღებული სასოფლო სამეურნეო პროდუქცია ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოსავლის აღების მომენტში მისი გასაყიდი ღირებულების გამოკლებით. ბაზრის ფასებზე დაყრდნობით, სამართლიან ღირებულებაზე მოსავლის აღების დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაყიდი ფასის გამოკლებით მიიღება პროდუქციის სავარაუდო ღირებულება. ბასს 2-ის (*მარაგები*) გამოყენების მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამართლიან ღირებულებაზე გასაყიდი ღირებულების გამოკლებით მიღებულ ფასად თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობილი მოგება ან ზარალი მოგება ან ზარალის კატეგორიაში აღირიცხება.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სალიკვიდაციო ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთა ირიცხება იჯარის ვადასა და მათი მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდით, სანამ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ კომპანიაზე გადავა საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულების შემდეგ. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები	20 წელი;
- ღვინის მანქანა-დანადგარები	1-20 წელი;
- კასრები და ავზები	2-15 წელი;
- ავტომობილები	2-15 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი	2-10 წელი;
- სხვა	3-5 წელი;
- ნაყოფის მომცემი კულტურები	26 და 40 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში კლასიფიცირდება.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აღრიცხავს.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სესხებს და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ის გადასცემს ფინანსურ აქტივზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას გადასცემს ოპერაციაში, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკის გადაცემა. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია წვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მას შემდეგ, რაც დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება, ხოლო წარმოდგენილი წმინდა თანხები აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას ექნება სამართლებრივი უფლება გაქვითოს თანხები და ექნება სურვილი მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. დღეისათვის კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამუშაოს ჩვეულებრივ განხორციელების პროცესშიც და კომპანიის და ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლის კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-12 შენიშვნა) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-13 შენიშვნა).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ნაშთებს თავდაპირველი სამი ან ნაკლებ თვიანი დაფარვის ვადით.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(j) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის წილი ინვესტიციებში მეკავშირე კომპანიებში ფასდება ანგარიშგების თითოეულ თარიღში იმის განსაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის (სასესხო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა და ისეთი პირობით, რომ კომპანია სხვაგვარად არ განსაზღვრავს;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტების გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება კომპანიაში;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც გადაუხდელობას იწვევს.
- ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა, ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივი ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების დადგენის კუთხით. ის აქტივები, რომლებიც გაუფასურებულად არ მიჩნევა, კოლექტიურად ფასდება ისეთ გაუფასურებაზე, რომელიც გაწეული, მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის, კოლექტიურად ფასდება გაუფასურებაზე მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფების გზით.

გაუფასურების ზარალი ანგარიშდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის ანგარიშზე. თუ კომპანია მიიჩნევს, რომ არსებობს აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გაგრძელდება დისკონტირების დაბრუნების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის კლებას და ამგვარი კლება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება აღდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები მიეწერება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულს გონივრულ და მუდმივ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, როგორც ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით, რომლის დროსაც გამოიყოფა კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის უწყისში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი პირველად გადანაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფზე) დამოკიდებული ნებისმიერი გუდვილის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო დღეს ნებისმიერი მინიშნებისათვის იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან უკვე აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება განსასაზღვრ საბალანსო ღირებულებას, გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილა აღიარებული.

(k) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ განვლილი მოვლენის შედეგად კომპანიას წარმოეშვა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც ობიექტურად შეიძლება იქნას შეფასებული და თუ სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრის მიმდინარე შეფასებებს და ვალდებულების დამახასიათებელ რისკებს. ფასდაკლების დაბრუნება აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

25. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან, სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

(a) ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, *ბასს 18 (შემოსავალი)*, *ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები)* და *ფასიკ 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები)*.

ფასს 15-ის ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. სტანდარტის ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია.

(i) მომსახურებები

კომპანიის შემოსავლის გენერირება ხდება ღვინის წარმოებისა და გაყიდვის (ექსპორტზე და ადგილობრივად) გზით. დღეისათვის შემოსავალი აღიარდება გაყიდვებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით.

ფასს 15-ის ფარგლებში, მთლიანი გადახდა საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებებში გადანაწილება შესრულების მთლიან ვალდებულებებზე მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასების საფუძველზე. ინდივიდუალური გასაყიდი ფასები განისაზღვრება ფასების სიით, რომლითაც კომპანია ყიდის საქონელს ინდივიდუალურ ოპერაციებში.

კომპანიის შეფასებით, ღვინის გაყიდვის სამართლიანი ღირებულება და ინდივიდუალური გასაყიდი ღირებულება თითქმის არ განსხვავდება. შესაბამისად, კომპანია არ მოელის, რომ ფასს 15-ის გამოყენებას გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობებს საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ვადებში და რომ ფასს 15-ზე გადასვლას არსებითი გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ii) გარდამავალი პერიოდი

კომპანია გეგმავს ფასს 15-ის მიღებას კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველად ხსენებული სტანდარტის კაპიტალში ასახვით 2018 წლის 1 იანვარს. შედეგად,

კომპანია არ გამოიყენებს ფასს 15-ის მოთხოვნებს წარმოდგენილ შესადარის პერიოდთან მიმართებაში. ამგვარი ცვლილება სრულად იქნება ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც უნდა მომზადდეს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

(ბ) IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) განსაზღვრავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღიარებასა და შეფასებასთან, ასევე არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ჩაანაცვლა ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება).

(i) კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის აუქმებს არსებულ ბასს 39-ის დაფარვამდე ფლობილის, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, ისეთ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, არ განცალკევდება. ამის ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის მთლიანობაში ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი.

მისი შეფასების საფუძველზე, კომპანია არ მოელის, რომ კლასიფიკაციის ახალ მოთხოვნებს არსებითი გავლენა ექნება მის სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ ანგარიშგებაზე.

(ii) გაუფასურება - ფინანსური აქტივები და სახელშეკრულებო აქტივები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ ‘განცდილი საკრედიტო ზარალის’ მოდელს, მომავალზე ორიენტირებული ‘მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის’ მოდელით. ეს მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე დაფუძნებულ საფუძველზე.

გაუფასურების ახალი მოდელი გამოიყენება ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისა და სახელშეკრულებო აქტივებისა.

ფასს 9-ის ფარგლებში, ზარალის რეზერვები შეფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთის საფუძველზე:

- 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც იწვევს შესაძლო დეფოლტის შემთხვევებს ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი ზარალი, რომელიც იწვევს დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ადგილი აქვს, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო ზარალი ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად შემცირდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და თუ ამგვარ შემცირებას ადგილი არ ექნება გამოიყენება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, თუ ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის აქტივს დაბალი საკრედიტო რისკი ახასიათებს. ამასთან არსებობის

მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე; კომპანიამ შესაძლოა გადაწყვიტოს ამ პოლიტიკის გამოყენება ასევე სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი აქვთ.

კომპანიის აზრით, ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვარს არ გამოიწვევს ბასს 39-ის საფუძველზე აღიარებული გაუფასურების არსებით ზრდაზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი გაუფასურება ფასს 9-ის ფარგლებში, სავაჭრო მოთხოვნების ნომინალურ ღირებულებას 5%-ს არ გადააჭარბებს.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

თუმცა, ბასს 39-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება, რომელიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, მოგებაში ან ზარალში ასახვით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, რადგან ფასს 9-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ამგვარი ცვლილება ზოგადად შემდეგი სახით აღირიცხება:

- სამართლიანი ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას უკავშირდება, სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება; ხოლო
- სამართლიანი ღირებულების ცვლილების დანარჩენი თანხა აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და მას არ აქვს ამგვარი განზრახვა. კომპანიის შეფასება არ მოიცავს რაიმე არსებით გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით 2018 წლის 1 იანვრისთვის.

(iv) განმარტებები

ფასს 9 მოითხოვს ახალ ვრცელ განმარტებებს, კერძოდ საკრედიტო რისკთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებაში. კომპანიის წინასწარი შეფასება მოიცავდა მონაცემებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების ანალიზს მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და კომპანია გეგმავს სისტემის და საკონტროლო მექანიზმების ცვლილების განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნება მოთხოვნილი მონაცემების მისაღებად.

(v) გარდამავალი პერიოდი

კომპანია გამოიყენებს ახალ სტანდარტზე გადასვლის მოდიფიცირებულ რეტროსპექტიულ მიდგომას და არ წარადგენს წინა პერიოდების გადაანგარიშებულ შესადარის ინფორმაციას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები, რომლებიც ფასს 9-ის მიღებით წარმოიშვებიან, აღიარდება გაუნაწილებელი მოგების და რეზერვების კატეგორიაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა,

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური
სასმელების კომპანია“

ჩვენი საცნობარო
ნომერი: ge/1/073/18

ქ. თელავი, აჩინებული

17/10/2018

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

მკირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2018 წლის 17 ოქტომბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2018 წლის 17 ოქტომბრით გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2018 წლის 20 აპრილს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის 20 აპრილის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი

აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“

შპს „KPMG Georgia“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დაბოუყვანილი ფილიალების წევრი, რომელიც ერთიანდება მსოფლიო ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative („KPMG International“)“.



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა,
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური
სასმელების კომპანია“

ჩვენი საცნობარო ge/1/073/18
ნომერი:

ქ. თელავი, აჩინებული

17/10/2018

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2018 წლის 17 ოქტომბერს გამოცემულ „მმართველობითი ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2018 წლის 17 ოქტომბრით გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2018 წლის 20 აპრილს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის 20 აპრილის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი

აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“



WWW.GWS.GE
+ 995 32 2 507 607 - gws@gws.com.ge

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია

მმართველობის ანგარიშგება - 2017

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება	3
შესავალი	3
საქმიანობის მიმოხილვა	3
ბაზრის მიმოხილვა	3
განვითარების გეგმა	4
საქართველოს ბაზრის კვლევა	4
ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და წარმოებული პროდუქცია	4
SWOT ანალიზი	5
ორგანიზაციული სტრუქტურა	6
ფინანსური მიმოხილვა	6
არაფინანსური მახასიათებლები	7
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	7
კორუფციასთან ბრძოლა	7
რისკები და მათი მართვის მექანიზმი	7
საკრედიტო რისკი	7
სავაჭრო მოთხოვნები	7
ლიკვიდურობის რისკი	9
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9
საბაზრო რისკები	10
სავალუტო რისკი	10
საპროცენტო განაკვეთის რისკი	12
ზოგადი რისკები	12

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია შეიქმნა 1995 წელს და ჩვენ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვენახების გაშენება, ყურძნის მოყვანა და ღვინის წარმოება. 2011 წელს კომპანიის 100%-იანი წილი შეიძინა სს „მარუსია საქართველომ“, რომელიც თავის მხრივ არის საერთაშორისო ჯგუფის, „მარუსია ბევერიჯის“ წევრი.

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია მდებარეობს თელავში და ფლობს ვენახებს სოფელ ვარდისუბანში, სოფელ აკურაში, სოფელ მალრაანში და ქინძმარაულის ზონაში. ჩვენ გაშენებული გვაქვს ქართული ვაზის ჯიშები საფერავი, მწვანე, რქაწითელი, ქისი და სხვა. ასევე გვაქვს ფრანგული ჯიშებიც, როგორებიცაა შარდონე, სოვინიონ ბლანი, კაბერნე სოვინიონი და ა.შ..

კომპანია სხვადასხვა ბრენდის სახელით აწარმოებს და ყიდის ისეთ ღვინოებს, როგორებიცაა „თამადა“, „ძველი თბილისი“, „ელიზო“ და სხვა. ასორტიმენტში შედის ნახევრად ტკბილი, ნახევრად მშრალი და მშრალი ღვინოები, მათ შორის ადგილწარმოშობის ღვინოები, როგორებიცაა ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი და ქინძმარაული. ჩვენი ღვინოები იყიდება საქართველოში და საზღვარგარეთ 15 ქვეყანაში. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებია რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, პოლონეთი და ბელორუსი.

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

2017 წელი ქართული მეღვინეობისათვის წარმატებული აღმოჩნდა. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარდა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი. აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში (PNAS) ნოემბერში გამოქვეყნდა სტატია („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“) საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ღვინოს 8000 წლის წინ აყენებდნენ.¹

საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში (Cité des Civilisations Du Vin) გამოფენა „საქართველო - ღვინის აკვანი“ თითქმის ოთხი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. გამოფენა 31 ივლისს გაიხსნა და 14 სექტემბერს ცენტრის შესასვლელში მუდმივ ექსპოზიციად ქართული ქვევრი დაიდგა.² „იუნესკოს“ მიერ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა შეყვანილი.³ ყოველივე ეს ხელს უწყობს მსოფლიოში ქართული ღვინის პოპულარიზაციას, და ეხმარება ჩვენ კომპანიას საექსპორტო პოტენციალის ზრდაში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით 2017 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იქნა 76.7 მილიონი ბოთლი ღვინო მსოფლიოს 53 ქვეყანაში.⁴ ეს არის რეკორდული მაჩვენებელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

¹ <http://www.pnas.org/content/early/2017/11/07/1714728114>

² <https://fondation.lacitedevin.com/fr/soutenir-la-cite-du-vin/les-projets-soutenir/georgie-berceau-de-la-viticulture>

³ <https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870>

⁴ <http://georgianwine.gov.ge/Ge/Files/Download/1042>

განვითარების გეგმა

2017 წლის დეკემბერში კომპანიის აქციონერებმა დაამტკიცეს 2018-2022 წლების ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც კომპანია შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში გეგმავს 25.6 მილიონი ლარის ინვესტირებას ვენახებში და ღვინის ქარხნის ინფრასტრუქტურაში. კერძოდ, იგეგმება, რომ მოხდება ღვინის ქარხნის კაპიტალური რემონტი და გადაიარაღება; დამტკიცებულ გეგმაში ასევე განსაზღვრულია არსებულ და ახალ ვენახებში ინვეტირება; რაც გაზრდის საკუთარი მოსავლის წილს ქარხნის მიერ გადამუშავებული ყურძნის ოდენობაში, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და აამაღლებს მის ხარისხს. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით აღნიშნული ინვესტიცია განხორციელდება კომპანიის მიერ გამომუშავებული საკუთარი სახსრებით.

საქართველოს ბაზრის კვლევა

2017 წლის მეორე ნახევარში კომპანიის დავალებით ფირმა ACT-მ საქართველოში ჩაატარა კვლევა GWS-ის ბრენდის ცნობადობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ GWS-ის ცნობადობა ქართულ ბაზარზე იყო საკმაოდ დაბალი. ამის შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობამ 2018 წლისათვის დაგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები და აქციები ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და წარმოებული პროდუქცია

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია დაარსდა 1995 წელს, 1976 წელს დაარსებული აჩინებულის ღვინის ქარხნის ბაზაზე და დღემდე წარმოადგენს მევენახეობის და მეღვინეობის დარგის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას საქართველოში.

2011 წლიდან კომპანიის 100%-ის მფლობელია „მარუსია ჯგუფი“, რომელიც ამავდროულად არის საერთაშორისო სადისტრიბუციო ქსელი. „მარუსია ჯგუფი“ საქართველოში წარმოდგენილია 3 კომპანიით:

- „მარუსია საქართველო“ - საქმიანობის სფერო - დისტრიბუცია
- „შატო მუხრანი“ - საქმიანობის სფერო - მევენახეობა და მეღვინეობა
- „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ - საქმიანობის სფერო - მევენახეობა და მეღვინეობა

კომპანია აწარმოებს შემდეგი სახის პროდუქციას:

- ცქრიალა ღვინოები,
- ღვინოები,
- ჭაჭა.

ჩვენ ვაწარმოებთ პროდუქციას შემდეგი ბრენდების სახელით:

- საქართველოს ფერები.
- თამადა გრანდ რეზერვი.
- თამადა.
- ვისმინო.
- ელიბო.
- ადამანტი.
- ძველი თბილისი.
- ბიალონი.

ორგანიზაციაში 2017 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 81 ადამიანი (2016 წელს - 80 ადამიანი). სეზონურად, ვენახის მოსავლეად, ხდება დამატებითი მუშა-ხელის დაქირავება. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, უნარ-ჩვევების ინსტრუქტაჟების და ტრენინგების საშუალებით. კომპანია აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, რომელთა განახლებაც მიმდინარეობს მუდმივად მსოფლიო ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით.

SWOT ანალიზი

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ამ შეფასების შედეგები.

ცხრილი 1:


ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
კომპანიის ისტორია, სტრატეგია და აქტივები	ქართული ღვინის რეპუტაცია - საქართველო, ღვინის აკვანი
ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება	მთავრობის მხარდაჭერა
აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე	ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება
მოგების ზრდის პოტენციალი	ახალი ბაზრები (მაგ. ჩინეთი)
მასიური წარმოების შესაძლებლობა (5 მილიონი ბოთლი)	ვენახების გაფართოება (მიწის შეძენა ვენახების გასაშენებლად)
საკუთარი ვენახები	საერთაშორისო დონეზე გაზრდილი მოთხოვნა ქვევრის ღვინოზე
არსებული საწარმოო დანადგარები	შუშხუნა და ვარდისფერი ღვინის წარმოება
განსაკუთრებული ადგილმდებარეობა, ბუნებრივი პირობები	
სრულყოფილი პორტფელი (ბრენდები, სტილი, ფასები)	
გაზრდილი ცნობადობა და იმიჯი საერთაშორისო ბაზრებზე (უკრაინა, რუსეთი და ა.შ.)	
ძლიერი გუნდი	
საერთაშორისო ჯგუფის ნაწილი, ძლიერი მხარდაჭერა	
სუსტი მხარეები	საფრთხეები
ქვეყნის უარყოფითი ეკონომიკური მდგომარეობა (ინფლაცია, კურსის ცვალებადობა)	წითელი ღვინის ფასის მნიშვნელოვნად გაზრდა
წარმოების პოტენციალის არასრულად გამოყენება	კონკურენტების გაზრდილი ინვესტიცია მეღვინეობაში
პორტფელს ზრდის შესაძლებლობის არასრულად გამოყენება	ბევრი მცირე მეღვინეობის (განსაკუთრების ქვევრის წარმოება) აღმოცენება ბაზარზე
საქართველოში არსებული დაბალი რეპუტაცია	ექსპორტის ზრდასთან ერთად კონკურენციის ზრდა
ხარისხისა და ფასის შეფარდება	ახალი საკანონმდებლო რეგულაციები
	ეკონომიკური საფრთხეები
	ბაზრების ცვალებადობა
	სტიქიური მოვლენები

ორგანიზაციული სტრუქტურა

2017 წლის განმავლობაში „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიაში“ საშუალოდ 81 ადამიანი იყო დასაქმებული (2016 წელს - 80). ჩვენ მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ თანამშრომელთა სამუშაო პირობები და გარემო. კომპანია ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.

გრაფიკი 1:



ფინანსური მიმოხილვა

2017 წელს ღვინის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 16,4 მილიონი ლარი, რაც 79%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. მთლიანი შემოსავლის პროცენტული ზრდა წინა წელთან შედარებით ტოლია ექსპორტის მოცულობის ზრდის მაჩვენებლის. ამის შედეგად კომპანიის მოგება გრძელვადიანი ოპერაციებიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შეადგინა 1,6 მილიონი ლარი. შედარებისათვის, 2016 წლის ანალოგიური მაჩვენებელი იყო 1,0 მილიონი ლარი ზარალი. აღნიშნული შედეგი არ ითვალისწინებს კომპანიის ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებულ ზარალს.

გაყიდვების ზრდის დადებითი ტენდენცია ასევე პოზიტიურად აისახა ფულადი სახსრების მოძრაობაზე. ოპერაციებიდან შემოსულმა თანხებმა შეადგინა 2,1 მილიონი ლარი, რაც 42%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 4,4 მილიონი ლარის ინვესტიცია სხვადასხვა ძირითად საშუალებებში, მათ შორის ვენახებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ღვინის წარმოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარებში. ანალოგიური მაჩვენებელი 2016 წელს შეადგენდა 3,8 მილიონ ლარს.

არაფინანსური მახასიათებლები

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მომპანია“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო, კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშვება კომპანიის მოთხოვნებიდან კლიენტების მიმართ.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. ასევე კომპანია განიხილავს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა

იმოქმედონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკზე, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, იყო შემდეგი:

ცხრილი 2:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017 წელი	2016 წელი
ადგილობრივი	310	443
დსთ-ს ქვეყნები	7,397	4,937
ევრო ზონის ქვეყნები	498	207
სხვა ევროპული ქვეყნები	530	416
სხვა რეგიონები	66	-
	8,801	6,003

ცხრილი 3:

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კონტრაგენტების ტიპების მიხედვით, იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017 წელი	2016 წელი
საბითუმო კლიენტები	8,801	6,003

იმ სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობა, რომელიც არ იყო გაუფასურებული ანგარიშგების თარიღისთვის, იყო შემდეგი:

ცხრილი 4:

'000 ლარი	2017 წელი		2016 წელი	
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	6,629		4,169	
0-დან 30 დღემდე ვადაგადაცილებული	988		216	
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	170		298	
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	81		1	
91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	2		177	
120 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	931		1,142	
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	8,801		6,003	

ხელმძღვანელობის აზრით, არაგაუფასურებული თანხები, რომლებიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ვადით, კვლავ ამოღებადია, ისტორიული გადახდების გამოცდილებისა და მომხმარებელთა საკრედიტო რისკის ფართო

ანალიზის საფუძველზე. სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის 86%, რომელიც 120 დღეზე მეტი პერიოდით არის ვადაგადაცილებული, წარმოადგენს მოთხოვნას ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიებისგან, რომელიც სრულად აღდგა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის მდგომარეობით (20 აპრილი, 2018 წ.).

ლიკვიდურობის რისკი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას აქვს ფულად სახსრები და მათ ეკვივალენტები 248 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 988 ათასი ლარი), რომელიც ამ აქტივებზე კომპანიის მაქსიმალურ დაქვემდებარებას წარმოადგენს.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანიის მიზანია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება ფინანსური ვალდებულებების ფულადი სახსრების მოსალოდნელ გადინებას, ოთხი თანმიმდევრული თვის განმავლობაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, მოსალოდნელი საპროცენტო გადახდების ჩათვლით:

ცხრილი 5:

31 დეკემბერი 2017 წელი		სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები					
'000 ლარი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ლირებულება	სულ მოთხოვნამდე	2 თვეზე 2-დან 12 1-დან 2 2-დან 5				წლამდე წლამდე
			ნაკლები	თვემდე	წლამდე	წლამდე	
სესხი მშობელი კომპანიისგან	966	1,487	-	-	-	-	1,487
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,032	1,302	-	107	359	219	617
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,200	2,200	-	273	1927	-	-
	4,198	4,989	-	380	2,286	219	2,104

31 დეკემბერი 2016 წელი		სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები					
'000 ლარი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ლირებულება	სულ მოთხოვნამდე	2 თვეზე 2-დან 12 1-დან 2 2-დან 5				წლამდე წლამდე
			ნაკლები	თვემდე	წლამდე	წლამდე	
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	621	621	621	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,563	1,563	-	-	-	-	1,563
	2,184	2,184	621	-	-	-	1,563

ჩვეულებრივ, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო ოდენობით მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, სამი თვის განმავლობაში მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებების დასაკმაყოფილებლად; ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში პროგნოზირება შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

მოსალოდნელი არ არის, რომ ზემოთ ვადიანობის ანალიზის ცხრილში წარმოდგენილი ფულადი ნაკადები წარმოიშვება მნიშვნელოვნად ადრე და მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

საბაზრო რისკები

კომპანიის მთავარ საბაზრო რისკს წარმოადგენს რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება. 2017 წელს რუსეთი წილმა კომპანიის ექსპორტში 30%-ზე მეტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია რუსეთის ბაზრის წილზე მთლიან ქართული ღვინის ექსპორტში. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს კისრულობს ბაზრის რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში ცვალებადობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვან ცვლილებაში, რომელიც გამოწვეულია ვალუტის კურსის ცვლილებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის აქტივების და ვალდებულებების მოცულობა უცხოურ ვალუტაში 2017 წლის 31 დეკემბრისთვის:

ცხრილი 6:

'000 ლარი	აშშ დოლარში	ევროში	აშშ დოლარში	ევროში
	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული
	2017	2017	2016	2016
სავაჭრო მოთხოვნები	7,463	1,028	4,937	623
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	54	315	621
სავაჭრო ვალდებულებები	(61)	(96)	(312)	(54)
სესხები და კრედიტები	(238)	-	(621)	-
წმინდა დაქვემდებარება	7,169	986	4,319	1,190

როგორც ვხედავთ, კომპანიას ძირითადად აქვს მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში. ლარის კურსის გამყარება(შესუსტება) ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებით 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებს მოგებაზე ან ზარალზე (გადასახადის გამოკლებით). ცხრილში მოცემულია ვალუტის 10% ცვლილების ეფექტი მოგება/ზარალზე.

ცხრილი 7:

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2017 წელი		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(717)	717
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(99)	99
31 დეკემბერი 2016 წელი		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(432)	432
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(119)	119

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, რადგან ეს გამოიწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ცვლილებას ან გავლენას მოახდენს მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით).

ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხის აღების დროს, გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

ზოგადი რისკები

კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

სახელი: გრიგოლ წიქარიშვილი

პოზიცია: ფინანსური დირექტორი

სახელი: ფილიპ ლესპი-ლაბაილეტი

პოზიცია: აღმასრულებელი დირექტორი



ცხრილი 7:

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2017 წელი		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(717)	717
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(99)	99
31 დეკემბერი 2016 წელი		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(432)	432
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(119)	119

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, რადგან ეს გამოიწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ცვლილებას ან გავლენას მოახდენს მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით).

ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხის აღების დროს, გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

ზოგადი რისკები

კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

სახელი: გრიგოლ წიქარიშვილი

პოზიცია: ფინანსური დირექტორი

სახელი: ფილიპ ლესპი-ლაბაილეტი

პოზიცია: აღმასრულებელი დირექტორი